

ანოტაცია

Burkholderia cepacia კომპლექსი (Bcc) წარმოადგენს გრამ-უარყოფით, არამაფერმენტებელ, ოპორტუნისტულ ბაქტერიებს, რომელშიც ერთიანდება 30 სახეობა. ისინი ხასიათდებიან თანდაყოლილი ანტიბიოტიკორეზისტენტობით და მნიშვნელოვანი როლი აქვთ ნოზოკომიური დაავადებების განვითარებაში. ბაქტერიოფაგები განიხილება როგორც ერთ-ერთი საშუალება მათ წინააღმდეგ ბრძოლისთვის, თუმცა, ინფორმაცია Bcc-ზე ეფექტური ფაგების შესახებ შეზღუდულია, რაც ხაზს უსვამს მათი იზოლაციისა და შესწავლის აუცილებლობას. კვლევ მიზნად ისახავს, Bcc შტამების გამოყოფას, როგორც გარემოს ისე კლინიკური ნიმუშებიდან და მგრობელობის შეფასებას, როგორც ანტიბიოტიკების ასევე ახლადგამოყოფილი ფაგების მიმართ. 27 Bcc შტამის (16 კლინიკური და 11 გარემოსდაცვითი იზოლაციის) მგრობელობა შეფასდა 7 ხშირად გამოყენებული ანტიბიოტიკის მიმართ (ცეფტაზიდიმი, ქლორამფენიკოლი, მეროპენემი, მინოციკლინი, ლევოფლოქსაცინი, ტიკარცილინ-კლავულანატი, ტრიმეტოპრიმი-სულფამეთოქსაზოლი-სი ბალანის დისკების მიხედვით) დიფუზიის მეთოდი და MIC განსაზღვრ CLSI გაიდლაინების მიხედვით. გამოყენებული იყო ფაგების კვლევის სტანდარტული მეთოდები ბაქტერიოფაგების გამოყოფისა და დახასიათებისთვის და მათი ლიზისური აქტივობის შესაფასებლად Bcc შტამების მიმართ. Bcc შტამების უმეტესობამ გამოავლინა რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ, შედარებით დაბალი რეზისტენტობით გამოირჩეოდა გარემოდან გამოყოფილი შტამები. ორი ახალი ბაქტერიოფაგი vB_Bm - S567 და vB_BoMT1, გამოყოფილი ნიადაგისა და წყლის ნიმუშებიდან, კლინიკურ შტამებზე *B. multivorans* LMG 13010 და *B. orbicolaris* Meg 77, მიეკუთვნება Myoviridae მორფოტიპს. ფაგმა vB_BoMT1 აჩვენა ჯუმბო ფაგის მახასიათებლები. ახლადგამოყოფილმა ფაგებმა აჩვენეს ლიზისური აქტივობა შემოწმებული Bcc შტამების 64% და 50%-ის მიმართ. შერჩეული Bcc ფაგები გამოყენებული იქნება შემდგომ სამოდელო კვლევებში ბაქტერიოფაგზე დაფუძნებული თერაპიის პოტენციალის დასამტკიცებლად ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული Bcc შტამებით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ.